

კიდევ ერთი კინოპროდუქციის შესახებ

თაონა ჯაფარიძე



ქეთი გუჯაბიძე გადაღების დროს

საპატრიარქოს მიერ რეკომენდირებული, ზედაპირულად რელიგიური და პომპეზური ქრისტეს ვნებანის შემდეგ თავი კინოს სახლში ამოვყავი, ერთ მოკრძალებულ პრემიერაზე, რომელმაც სახარების პირდაპირი ეკრანიზაციის საპირისპიროდ, მაყურებელში გაცილებით მეტი ჯანსაღი რელიგიური ვნება და დადებითი მუხტი გამოიწვია. ეს რეჟისორ ქეთი გუჯაბიძის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი გახლდათ მხატვრული ელემენტებით.

მანამდე ქეთი გუჯაბიძის შესახებ ვიცოდი, რომ კინორეჟისურას ის მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში დაეუფლა, ხოლო მისი ხელნერის შესახებ გარკვეული წარმოდგენა თავის დროზე ფილმით - ექვსი მხატვრის მოკრძალებული ხიბლით შემექმნა. ეს ფილმი თბილისელ მხატვართა ერთი მეტად საინტერესო ჯგუფის ერთდროულად ცალკეულ პორტრეტებსა და მათ მთლიან პორტრეტს წარმოადგენდა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ მის ახალ ნამუშევარს, რომელსაც ასე ჰქვია: რამდენიმე განმარტოებული კადრი, რამდენიმე ეული არსებისა და საგნის შესახებ. სათაურიდანვე ჩანს, რომ ფილმი გლობალურ პრობლემას - მარტოობის თემას ეხება. მოწყალეების იმედად დარჩენილ მარტოსულ ადამიანებზე უამრავი ფილმი არსებობს, თანაც დოკუმენტური. ამ ჟანრისა და ამ თემის

ცუდი ინტერპრეტაციებით მდიდარია ბოლო წლების ქართული ვიდეოკინემატოგრაფიც. მაგრამ, ქეთი გუჯაბიძის ნამუშევარი ნამდვილად ამოვარდნილია ამ უკანასკნელის კონტექსტიდან.

როგორ შეიძლება კინორეჟისორმა ასეთი სათუთი თემა ყალბი სენტიმენტებისაგან დაიცვას: ამისათვის ქეთი გუჯაბიძე დოკუმენტური კინოსათვის დამახასიათებელ დოკუმენტალისტიკურ სიზუსტეებს კი არ მიმართავს, არამედ დოკუმენტურ მასალას ათამაშებს, მას ერთგვარ კინოეფექტებად იყენებს და ამით მიზანსაც აღწევს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ თბილისის ქუჩებში გაცნობილი, მოწყალეების მომლოდინე ადამიანების ბედი, მეტროს მგზავრთა მონოტორული რიტმების, ურბანული მახინჯი და-

სახლებების, მსოფლიოს ლიდერთა, მაფიოზი პოლიტიკოსებისა თუ ტერორისტების საყოველთაო ფერხულის ფონზე გლობალური პრობლემის სახეს იძენს. სწორედ ამიტომ ფილმის პროდიუსერი მაცაცო გაბუნია ფილმის შესახებ რეზიუმეში ამბობს, რომ სურათი ნებისმიერ გეოგრაფიულ წერტილში ეგზისტენციური სივრცის იდენტურობას ეხებაო.

ეგზისტენციალიზმი ხომ არსებობის ფილოსოფიაა. ფილმის მთავარი გმირები, (რეალური პიროვნებები თბილისის ქუჩებიდან) არსებობისათვის იბრძვიან, ოღონდ ამ ბრძოლაში მარტოსულები არიან. ისინი არაფრით განსხვავდებიან ჩვენგან და პირიქით ერთ-ერთ ჩვენგანნიც კი არიან, ჩვენსავით უყვართ ვეფხისტყაოსანი თუ ლადო ას-

ათიანი, მაგრამ გასაჭირში ჩავარდნილები ჩვენს გარეშე არიან დარჩენილები. სწორედ ჩვენს გარეშე დარჩენილი ადამიანების რეაქციებისა და სიმარტოვის დემონსტრაციისათვის რეჟისორი, კინოკლასიკოსს, ანდრეი ტარკოვსკის მიმართავს: ფილმის გმირები ქეთი გუჯაბიძეს ცარიელ კინოდარბაზში შეჰყავს და დიდ ეკრანზე ტარკოვსკის ნოსტალგიას აჩვენებს. ისინი ფილმის ყურების მომენტშიც მარტონი არიან.

ფილმის ჩვენების წინ რეჟისორმა აღნიშნა: ისტორიის მუზეუმის წინ მოწყალეების იმედით იჯდა ადამიანი, რომელსაც სახელად ლევანი ერქვა. მსურდა, ის ჩემს ფილმში გადამეღო, მაგრამ როცა სურათზე მუშაობა დავიწყე, ის ველარ ვიპოვე. როგორც შემდეგ შევიტყვე, ის გარდაიცვალა. ამიტომ ფილმი ძია ლევანის ხსოვნას ეძღვნება. რაოდენ პათეტიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, ფილმი უფლებას მაძლევს ვთქვა, გვიყვარდეს ადამიანები, იმიტომ რომ, ისინი დაუცველები არიან.

P.S. დარწმუნებული ვარ ქეთი გუჯაბიძის ეს ფილმი არც ნეონაციისტის აღსარებას გამოიწვევს და არც კოლოსალურ ფინანსურ წარმატებებს. მოიტანს, უბრალოდ, ჩვენი რეალური ცხოვრების რამდენიმე კადრი სახარებისეული ინტერპრეტაციით, ოღონდ სახარების პერსონაჟების გარეშე, დარწმუნებული ვარ უფრო გამოსადეგია ჯანსაღი პროპაგანდისთვის, ვიდრე ჰოლივუდური ყალბი ვნებები.